პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 38 (12550) | ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

რჩეულნი—დეპუტატობის კანდიდატები

ხალხი ასახელებს

თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი

გუშინ თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში დიდი სიხარული გამოცოცხლება იყო. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებაზე შეიკრიბნენ დედაქალაქის ამ უძველესი საწარმოს მუშა-მოსამსახურენი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი.

ქარხნის პარტბიუროს მდივანმა **ნ. ტყემალაძემ** წინადადება შეიტანა თბილისის ჩელიუსკინელთა № 18 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.**

კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ნ. ტყემალაძის წინადადებას.

წინადადებას მხარი დაუჭირა № 3 საამქროს უფროსმა **ნ. შეყირლაძემ.** მან განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში შემავალი ყველა ეროვნების ხალხი მეგობრულად ცხოვრობს და ენერგიულად შრომობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. ჩვენი ქარხნის მუშები ამ წინასაარჩევნო კრებაზე იმ კეთილი, დიდი რწმენით მოვედით, რომ ახლო მომავალში დავიპყრობთ კომუნიზმის მწვერვალებს, შევქმნით უფრო საამურ და კეთილ ცხოვრებას. საბჭოთა კონსტიტუცია ხალხის ნების გამომხატველია. მე და ჩემი ამხანაგები სულით და გულით ვუჭერთ მხარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილის** კანდიდატურას.

ნ. ტყემალაძის წინადადებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილის** დასახელების შესახებ მხარი დაუჭირეს აგრეთვე ზენაკალმა ვ. მელნიჩუკმა, ხარატმა გ. ბარამიძემ, საწარმოო განყოფილების უფროსმა ო. ეტმეკენიანმა, სარემონტო განყოფილების ზენაკალმა გ. მიქაძემ.

კრებაზე არჩეულ იქნენ წარმომადგენლები მშრომელთა წინასაარჩევნო თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

გუშინ თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა მოწინავე ელექტროკოსი ეფემია ურთქმელიძე. **სურათზე:** ამხ. ე. ურთქმელიძეს მეგობრები გულწრფელად ულოცავენ ხალხის ნდობას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი კრებები. მშრომელები თავიანთ კანდიდატებად ასახელებენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავე ადამიანებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად საბურთალოს საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ანდრია პავლეს-ძე კირილენკო** და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ი. ს. ბერიტაშვილი.**

თბილისის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს — ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის საქარხნო № 2 საარჩევნო ოლქში დაასახელა ქარხნის დირექტორი **ი. ი. ზერეკიძე.**

ლანჩხუთი. სოფელ აცანის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აცანის № 277 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ს. პოლიანსკი** და ამავე კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე **ნ. შ. წილოსანი.**

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა და სოფლის ინტელიგენციის კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დარჩელის № 299 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ფ. რ. კოზლოვი** და ზუგდიდის რაიონის მოწინავე მესამინდე **კ. ი. სანდუხაძე.**

ხაშური. გუშინ ხაშურში დიდი გამოცოცხლება იყო. რკინიგზელებმა თავიანთი წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხანაგი **ა. ნ. კოსიგინი** და სალოკომოტივო დეპოს მემანქანე ამხ. **ს. გ. გოგოლაძე.**

ყვარელი. (სპეც. კორ.). სოფელ ახალშენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ფ. რ. კოზლოვის** კანდიდატურა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მ. ი. არჩუაშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივის კრებამ ერთხმად გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ნასაკირალის საარჩევნო ოლქში დაასახელეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნ. გ. გომელაური.**

საავჯო. საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ კოლექტივმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შეთავაზა საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ს. კ. ჩხარტიშვილი.**

მაღალი ნდობა

ლაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. მშრომელებმა თავიანთ კანდიდატებად ერთსულოვნად წამოაყენეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავე ადამიანები.

უველგან, სადაც კი მოეწყო დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი კრებები — თბილისის ჩარხსაშენებლო ქარხანაში თუ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, რუსთავის მეტალურგებთან თუ ქუთაისის ავტომშენებლებთან, კოლმეურნეობებში თუ საბჭოთა მეურნეობებში, — იგრძნობოდა მძლავრი პოლიტიკური აღმავლობა, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის სიდადე.

ეს არის ჩვენი წყობილების უძლეველობის, პარტიისა და ხალხის ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია.

სკკპ პროგრამაში აღნიშნულია: საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელების დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნას კანდიდატის პირადი და საქმიანი თვისებების სრული და ყოველმხრივი განხილვა კრებებზე და პრესაში, რომ საბჭოებში ავირჩიოთ ყველაზე ღირსეული და ავტორიტეტიანი ადამიანები.

პროგრამის ეს ბრძნული მითითება განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიის მიმდინარე ეტაპის — დეპუტატობის კანდიდატების დასახელების არსს.

ჩვენი საბჭოები მტკიცე კავშირში არიან ხალხთან, ისინი ყველაზე დემოკრატიული მმართველობის ორგანოები არიან. ამიტომ ბუნებრივია ამომრჩეველთა სურვილი, რომ დეპუტატობის კანდიდატებად დასახელონ პრინციპული, ჩვენი საერთო საქმისათვის თავდადებული, საუკეთესო პირადი თვისებებით აღჭურვილი ადამიანები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათთვის სასარგებლო აგიტაციას. მთავარია აგიტატორებმა უბრალოდ და გასაგებად განუმარტონ ამომრჩევლებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შინაარსი, მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის სიდიადე.

შემოქმედებითმა, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა აგიტაციამ უნდა დარაზმოს მშრომელები შვიდწლედის დიადი ამოცანების შესრულებისათვის საბრძოლველად. აგიტატორები უნდა ეხაუბრონ ამომრჩეველს დასახელებულ კანდიდატთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ აგიტკოლექტივებს ჰქონდეთ ყველა საჭირო პირობა და საშუალება მოსახლეობაში აგიტაციის მაღალ დონეზე მოსაწყობად.

საარჩევნო კამპანიაში აქტიურად მონაწილეობს ყველა საბჭოთა ადამიანი. ეს იმის თავდებია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად არჩეულ იქნებიან ნამდვილად ღირსეული, საუკეთესოთა შორის საუკეთესო ადამიანები.

საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების მიმდინარე დასახელება კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის მძლავრი დემონსტრაციაა.

ხალხი ასახელებს

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

გიორგი სამსონის-ძე ჟოწენიძე

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საკქმო დარბაზში გუშინ წინასაარჩევნო კრებაზე შეიკრიბნენ ჩვენი რესპუბლიკის ამ თვალსაჩინო უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერები, მოსამსახურეები, სტუდენტები.

სიტყვა ინფორმაციისათვის მიეცა პროფესორ **გიორგი ყანჩაველს.**

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება, — ამბობს იგი, — საარჩევნო კამპანიის მეტად სერიოზული ეტაპია. ხალხი თავიანთ დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს რჩეულ ადამიანებს. ჰომეალ არჩევნებს დიდი აღმავლობით უნდა შეეხვედეთ.

სიტყვა ითხოვა პროფესორმა **იასონ აბაშიძემ.** მან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მელიქიშვილის საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **გიორგი სამსონის-ძე ჟოწენიძე.**

— გიორგი სამსონის-ძე ჟოწენიძე, — ამბობს პროფესორი იასონ აბაშიძე, — არა მარტო სახელმწიფო მოღვაწეა, არამედ სახელგანთქმული მეცნიერიცაა. მას დიდი ამაგი მიუძღვის სამამულო მეცნიერების განვითარების საქმეში.

დარბაზი ტაშით შეხვდა ორატორის ამ სიტყვებს. ამხ. **გ. ს. ჟოწენიძის** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენების წინადადებას მხარი დაუჭირეს პროფესორმა ბიბინა იაკობაშვილმა, დოცენტმა ალექსანდრე ნარრომაშვილმა, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ჯუმბერ პაპაიშვილმა და სხვ.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა მხურვალედ მოიწონეს პროფესორ იასონ აბაშიძის წინადადება იმის შესახებ, რომ **გიორგი სამსონის-ძე ჟოწენიძე** წამოყენებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის მელიქიშვილის საარჩევნო ოლქში.





ურეჯელთა სიტყვა

ზუგდიდელ და ყვარელელ მშრომელთა პატრიოტულ მიმართვას მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი სოფლის მშრომელები. ისინი ახალი ძალით აჩაღებენ ბრძოლას სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის.

კოლმეურნეობის მთავარი დარგი მეჩაიეობაა.

ჩვენ გავითვალისწინეთ შარშანდელი ნაკლოვანებები, დავსახეთ ახალი ამოცანები და ვიკისრეთ გადიდებული ვალდებულებები. წელს ჩვენი მეჩაიეები სახელმწიფოს მიჰყიდიან 285 ტონა ხარისხოვან ჩაის ნედლეულს და საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 6 ათას კილოგრამ „მწვანე ოქროს“. კვლავაც დიდი ყურადღება მიექცევა მებოსტნეობის განვითარებას. ჩვენი მებოსტნეები ქალაქის მოსახლეობას მისცემენ 110 ტონაზე მეტ კიტრს, პამიდორს, ბადრიჯანს და სხვა ბოსტნეულს. ამჟამად სათბურებში მიმდინარეობს პამიდორის ჩითილის გამოყვანა, სულ მალე ბათუმის მოსახლეობა მიიღებს ჩვენს კოლმეურნეობაში მოყვანილი ბოსტნეულის პირველ მოსავალს.

პირუტყვის გამოზამთრება წინა წლებთან შედარებით წელს უკეთ მიდის. შედეგიც სახისმეტყველია. შარშანდელთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა პირუტყვის წველადობა. მწველავებმა იკისრეს წელს თვითეულ ძროხაზე წველადობა გაზარდონ 2.850 კილოგრამამდე.

ხ. გორგილაძე,
ჩაქვის რაიონის ურეჯის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ანაღები ზღუდეები

სიღნაღი. (სპეც. კორ.). საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობების წევრები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ წელს მკვეთრად გაადიდონ ხორბლის, სიმინდის ყურძნის, ხორცის, რძის წარმოება.

რაიონის მშრომელები წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 364.070 ცენტნერ მარცლეულს, 54.980 ცენტნერ ხორცს, 20.990 ცენტნერ რძეს, 127.910 ცენტნერ ყურძენს.

სიმინდს დათესავენ 17 ათას ჰექტარზე, აქედან მაღალმოსავლიანი ნთესლიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 60 ცენტნერ მარცვალს. სიმინდს ძირითადად პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად დათესავენ. ამისათვის ნიადაგი მზრალად აქვთ მოხნული.

მეცხოველეობის პროდუქტების გადიდების მიზნით პირუტყვის საკვებად დათესავენ ათას ჰექტარ ბარდას. ეს სამუშაო უკვე დაამთავრეს სოფლების ჯაფარიძის, ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობებმა, ხოლო ბოდბისხევის, ვაქირის, წნორის კოლმეურნეობებში ბარდის თესვის დაგალება დასასრულს უახლოვდება. 3.000 ჰექტარი ვენახები რიგთა შორის დამუშავებულია, ხოლო გასხლულია 700 ჰექტარი.

იაღლუჯის საძოვრებზე

ბოლნისი. (საკ. კორ.). თოვლივით გადათეთრებულა იაღლუჯის საძოვრები. ეს ბოლნისის საწარმოო სამმართველოს ცხვარია, საზამთრო საძოვრებს რომ შესევია.

რამდენიმე ხნის წინათ აქ დული დაიწყო. ყიზილჟილისის ცხვარს ყველგან გამოარჩევთ. ფარეხში 2.182 სული ცხვარია, აქედან 1.219 დედაცხვარი. 182 სული ბეგმის გადამეტებით არის. ასტან მელიქ ოღლი გამოცდილი მეცხვარეა. — წელს დული ადრე დაგვიწყო, — გვითხრა მან. — ყოველ 100 დედაცხვარზე 95 ბატკანს აუცილებლად შევინარჩუნებთ.

ზრომის ცეცხლი

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ყვარელელ და ზუგდიდელ მშრომელთა თაოსნობას. მათ იკისრეს ვენახების მთელი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე ბეგმის გადამეტებით მიიღონ სულ მცირე 5 ცენტნერი ყურძენი.

ვალდებულების შესასრულებლად ბრძოლა წარმატებით დაიწყო. ზვრებში შემოქმედებითი შრომის ცეცხლი ახთია.

მოლიანად საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში 1.613 ჰექტარი ვენახიდან მეწკრივეთა შორის ნიადაგი დამუშავებულია 1.300 ჰექტარზე.

ჩვენი ფიქრი, საქმე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის მუშაკებს ახალი გრანდიოზული ამოცანები დაგვისახა. ამ დიად მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის ყუბანელთა თაოსნობით გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება. ჩვენც ჩავებით ამ შეჯიბრებაში და ავიღეთ ვალდებულებები:

დავთესავთ 400 ჰექტარ სიმინდს და ჰექტარზე მივიღებთ სულ მცირე 25 ცენტნერ მარცვალს. ვითვალისწინებთ აგრეთვე ჰექტარზე მივიღოთ 15 ცენტნერი თავთავიანი კულტურების მოსავალი, 250 ცენტნერი ჭარხალი, 200 ცენტნერი ბოსტნეული, 90 ცენტნერი ხილი.

წელს გადამწყვეტი სიტყვა გვინდა ვთქვათ მეცხოველეობაშიც. წლის ბოლოსათვის ვიყოლიებთ 1.300 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს.

ამჟამად კოლმეურნეობა წარმატებით ემზადება საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის. სავსებით გამზადებული გვაქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოხნულია ნიადაგი, ფართობებში შეგვაქვს ორგანული სასუქი. უზრუნველყოფილი ვართ თესლითაც. ჩვენი გადაწყვეტილებაა წელს მივიღოთ ყველა კულტურის უხვი მოსავალი და მკვეთრად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

შ. ბექაური,
თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს ჯორჯიაშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ინიციატორებთან

ორი დღის წინათ გამოქვეყნდა ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა მიმართვა რესპუბლიკის სოფლის მშრომელებისადმი. მათ მოიწონეს ყუბანელ მშრომელთა პატრიოტული თაოსნობა და იკისრეს ახალი ვალდებულებანი. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ იმათ, ვინც თავი ისახელა შრომაში: ზემოთ — ცნობილი მესამინდე კ. სანდუხაძე, მეჩაიე ნ. პაკელიანი; ქვემოთ (მარცხნიდან) მოწინავეთა რაიონული თათბირის მონაწილენი — მ. მატკავა, ლ. ლოკტევა, კ. ქარდავა, მ. აზაროვა, ქ. კეკალიშვილი, ლ. არჩაია.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ყუბანელ მხვნელ-მთესველებსა და მეცხოველეებს გამოეხმაურნენ ყვარელელი მშრომელები. მათ ახალი ვალდებულებები იკისრეს.

სურათებზე თქვენ ხედავთ ყვარლის საწარმოო სამმართველოს მოწინავეებს. ზემოთ — მექანიზატორები ო. ლათიბაშვილი და ს. შიუკაშვილი; ქვემოთ — ბარდის თესვა სოფელ შრომის კოლმეურნეობის მინდორში; წინა პლანზე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ყაველაშვილი და საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორი ვ. კობერიძე.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

საკდესის ცნობა

მიფრინავს „მარსი-1“

გასულ კვირაში მოეწყო რადიოკავშირის მორიგი სეანსები სადგურთან „მარსი-1“. ტელემეტრიული არხით სადგურიდან მიღებულია მეცნიერული ინფორმაციაა.

13 თებერვალს დილის 9 საათზე მოსკოვის დროით მანძილი დედამიწიდან სადგურამდე „მარსი-1“ შეადგენდა 59 მილიონ 460 ათას კილომეტრს. სადგურის ასტრონომიული კოორდინატები შემდეგია: კიდეკენი ალმასლა — 6 საათი და 43 წუთი, დახრილობა — 31 გრადუსი და 42 მინუტი. ამჟამად დედამიწიდან სადგურის დაშორების სიჩქარე უდრის 12,7 კილომეტრს წამში.

მეგობრობის ვიზიტით

მოსკოვს ჩამოვიდა ლაოსის მეფე შრი სავანგ ვათჰანა

13 თებერვალს მოსკოვს სახელმწიფო ვიზიტად ჩამოვიდა ლაოსის მეფე მისი უდიდებულესობა შრი სავანგ ვათჰანა. მეფეს ახლავან კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა, მეფის შვილი — პრინცი ს. სავანგი, საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ფოლსენა, ინფორმაციის, პროპაგანდისა და ტურიზმის მინისტერი ფ. ვონგვიტტი, ადგილობრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის მინისტრი ნ. სანანკონი და სხვა ოფიციალური პირნი.

ლაოსელი ხალხისადმი გულწრფელი მეგობრობის გრძნობები გამოხატეს საბჭოთა დედაქალაქის მცხოვრებლებმა საპატიო სტუმრების შეხვედრის დროს. სადღესასწაულოდ მორთეს ამ დღეს ქალაქის ცენტრალური მაგისტრალები. აღიმართა ლაოსის სამეფოსა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები. ალისფერ ტილოებზე წარწერილია მისასალმებელი ლოზუნგები „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ლაოსის ხალხთა მეგობრობას!“, „მხურვალე სალამი ლაოსელ ხალხს, რომელიც ნეიტრალური, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ლაოსის შექმნის გზას დადგა!“, „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!“.

ლაოსის მეფისა და მისი თანამგზავრების შესახვედრად ვნუკოვის აეროდრომზე მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ა. ნ. კოსიგინი და ა. ი. მიკოიანი და სხვა ოფიციალური პირნი. მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

აეროდრომზე არიან საბჭოთა კავშირში ლაოსის სამეფოს საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

ულრუბლო ცაში რეაქტიული ავიაგამანადგურებლების ესკორტით გამოჩნდა საპაერო ლაინერი „ილ-18“. 11 საათსა და 30 წუთზე თვითმფრინავი აეროვოგზლის შენობასთან გაჩერდა.

მეფე შრი სავანგ ვათჰანას და სხვა სტუმრებს, რომლებმაც ფეხი დაადგეს მოსკოვის მიწას, გულთბილად და გულითადად მიესალმნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები. ბავშვებმა სტუმრებს ყვავილთა თაიგულები მიართვეს. საპატიო სტუმარმა მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. ჭიერს ლაოსის სამეფოსა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. გრიალებს ერთა სალუტი — 21 საარტილერიო ზალპი. მეფე შრი სავანგ ვათჰანამ და ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოიარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. ლაოსის სახელმწიფოს მეთაური მიესალმა საბჭოთა არმიის მეომრებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ლაოსის მეფეს წარუდგინა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეები და დიპლომატიური კორპუსის წევრები. ხმამაღალი მისალმება გაისმა, როცა შრი სავანგ ვათჰანა მიესალმა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენელებს.

აეროდრომზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ლაოსის მეფემ შრი სავანგ ვათჰანამ ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს.

აეროდრომიდან სტუმრებისათვის განკუთვნილ კრემლის რეზიდენციამდე მეფე შრი სავანგ ვათჰანას ავტომანქანაში ახლდა ლ. ი. ბრეჟნევი, ხოლო პრინც სუვანა ფუმას — ნ. ს. ხრუშჩოვი. კორტეჟის მთელ გზაზე სტუმრებსა და საბჭოთა ხელმძღვანელებს მიესალმებოდა ათასობით მოსკოველი. (საკდესი).

გულთბილი მილოცვა

მეცხვარეთა თვალსაჩინო შრომითი გამარჯვება

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გულთბილად მიულოცა თვალსაჩინო შრომითი გამარჯვება დასავლეთ ყაზახეთის მხარის გურიევის ოლქის კოლმეურნეობა „მოწინავის“ უფროს მწყემსს ს. დაულეთყალიევს. ამ უკანასკნელი 6 წლის მანძილზე ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. დაულეთყალიევი, ყოველ ას საკრაველ ნერბზე მიიღო და გამოზარდა საშუალოდ 149 ბატკანი და ცხვარზე საშუალოდ 4,1 კილოგრამი ბატული.

თქვენი გამოცდილება, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი მოწმობს, თუ რა დიდი შესაძლებლობანი აქვს ყაზახეთის სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ცხვარეთა მეცხვარეობის განვითარების და მაჯდაკის, მატყლისა და ხორცის წარმოების გადიდებისათვის... თუ თქვენი მეცხვარეთა ბრიგადა ყოველწლიურად აღწევს ასეთ მშვენიერ შედეგებს, ასეთივე მაჩვენებლების მოპოვება შეუძლია ბევრ სხვა ბრიგადასაც. მეტად საჭიროა თქვენი გამოცდილება, მუშაობის მეთოდები შეისწავლონ და ფართოდ გამოიყენონ მთელი ყაზახეთისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ამხ. დაულეთყალიევს უსურვა შემდგომი წარმატებანი შრომაში და მხურვალე სალამი გადასცა ბრიგადის მთელ კოლექტივს. (საკდესი).

სიუხვისათვის ლაშქრობა დაიწყო

მხარს უჭერენ ზუგდიდელ და ყვარლელ მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას

ანაღები ზღუდეები

სიღნაღი. (სპეც. კორ.). საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობების წევრები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ წელს მკვეთრად გაადიდონ ხორბლის, სიმინდის ყურძნის, ხორცის, რძის წარმოება.

რაიონის მშრომელები წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 364.070 ცენტნერ მარცლეულს.

იაღლუჯის საძოვრებზე

ბოლნისი. (საკ. კორ.). თოვლივით გადათეთრებულა იაღლუჯის საძოვრები. ეს ბოლნისის საწარმოო სამმართველოს ცხვარია, საზამთრო საძოვრებს რომ შესევია.

რამდენიმე ხნის წინათ აქ დული დაიწყო. ყიზილჟილისის ცხვარს ყველგან გამოარჩევთ. ფარეხში 2.182 სული ცხვარია, აქედან 1.219 დედაცხვარი. 182 სული ბეგმის გადამეტებით არის. ასტან მელიქ ოღლი გამოცდილი მეცხვარეა. — წელს დული ადრე დაგვიწყო, — გვითხრა მან. — ყოველ 100 დედაცხვარზე 95 ბატკანს აუცილებლად შევინარჩუნებთ.

ზრომის ცეცხლი

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ყვარელელ და ზუგდიდელ მშრომელთა თაოსნობას. მათ იკისრეს ვენახების მთელი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე ბეგმის გადამეტებით მიიღონ სულ მცირე 5 ცენტნერი ყურძენი.

ვალდებულების შესასრულებლად ბრძოლა წარმატებით დაიწყო. ზვრებში შემოქმედებითი შრომის ცეცხლი ახთია.

მოლიანად საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში 1.613 ჰექტარი ვენახიდან მწკრივთა შორის ნიადაგი დამუშავებულია 1.300 ჰექტარზე.

ჩვენი ფიქრი, საქმე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის მუშაკებს ახალი გრანდიოზული ამოცანები დაგვისახა. ამ დიად მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის ყუბანელთა თაოსნობით გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება. ჩვენც ჩავებით ამ შეჯიბრებაში და ავიღეთ ვალდებულებები:

დავთესავთ 400 ჰექტარ სიმინდს და ჰექტარზე მივიღებთ სულ მცირე 25 ცენტნერ მარცვალს. ვითვალისწინებთ აგრეთვე ჰექტარზე მივიღოთ 15 ცენტნერი თავთავიანი კულტურების მოსავალი, 250 ცენტნერი ჭარხალი, 200 ცენტნერი ბოსტნეული, 90 ცენტნერი ხილი.

წელს გადამწყვეტი სიტყვა გვინდა ვთქვათ მეცხოველეობაშიც. წლის ბოლოსათვის ვიყოლიებთ 1.300 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს.

ამჟამად კოლმეურნეობა წარმატებით ემზადება საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის. სავსებით გამზადებული გვაქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოხნულია ნიადაგი, ფართობებში შეგვაქვს ორგანული სასუქი. უზრუნველყოფილი ვართ თესლითაც. ჩვენი გადაწყვეტილებაა წელს მივიღოთ ყველა კულტურის უხვი მოსავალი და მკვეთრად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

შ. ბექაური,
თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს ჯორჯიაშვილის სახელობის კოლმეურნეობ

ლენინურად მოვაწყოთ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი

მ. ი. კუჭავა,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

ზრუნვა ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის ძირითადი კანონი. ამის მკაფიო დადასტურებაა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ლენინური აზრისა და კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე გამოცდილების შესანიშნავი შერწყმაა.

ერთგულება ლენინური პრინციპებისადმი, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონთა გონივრული გათვალისწინება საშუალებას აძლევს პარტიას დროზე და გაბედულად აღმოფხვრას დრომოჭმული ორგანიზაციული ფორმები, განუხრელად სრულყოს სახალხო მეურნეობის საპარტიო და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა, შექმნას ასპარეზი საწარმოო ძალების განვითარებისათვის. დავაჩქაროთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ტემპები — აი დიდი მიზანი, რომელსაც ისახავენ ჩვენი პარტიის კოლექტიური გონებით შემოშავებული ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, როგორიც არის სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა, ტექნიკური პოლიტიკის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია, ეკონომიური მშენებლობის მართვის სრულყოფის ღონისძიებანი. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის მიზნით სოციალისტური ეკონომიკის მართვის გარდაქმნა ერთი მხრივ ეხამება სამეურნეო ხელმძღვანელობის დემოკრატიული პრინციპების შემდგომ განვითარებას, მასების ფართოდ ჩაბმას წარმოების მართვაში, მეორე მხრივ — პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ლენინური სისტემის აღდგენას.

ამით პარტიამ კვლავ დადასტურა, რომ ერთგულად და თანმიმდევრულად იცავს ლენინურ კურსს. ყლადიმერ ილიჩმა-ძეს ხომ წარმატებითი მუშაობის საწინდრად, ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ძალის წყაროდ მიაჩნდა თავიდან ბოლომდე კონტროლისა და შესრულების შემოწმების ორგანიზაცია კომუნისტებისა და ყველა მშრომელის მონაწილეობით!

კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წინსვლის, სამეურნეო ცხოვრების გართულებისა და საწარმოო ძალების გიგანტური განვითარების კვალობაზე მასობრივი კონტროლის როლი არათუ არ სუსტდება, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო იზრდება. სწორედ ამიტომ სკკპ XXII ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესებასა და სრულყოფას.

სკკპ XXII ყრილობის დირექტივის შესასრულებლად და ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში იქმნება ყოვლისმომცველი, მუდმივმოქმედი კონტროლის მწყობრი სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ლენინური იდეა პარტიული და სახელმწიფო კონტროლის გაერთიანებისა ერთიან, ფართო უფლებებითა და რწმენებებით ჯდურვილ ორგანოდ. ისე რომ მის საქმიანობაში ჩაებან მშრომელთა ფართო მასები. შექმნილია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი. დამტკიცებულია დებულება კომიტეტისა და მისი შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ, რომელიც ერთიანია თავიდან ბოლომდე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ყველა ორგანოსთვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შექმნის შესახებ. მრავალ წერილში რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენციის წარმომადგენლები მაღალ შეფასებას აძლევენ პარტიის ამ ახალ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს კომუნისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარების, სოციალისტური ეკონომიკის უდიდეს უპირატესობათა და რეზერვთა უკეთ გამოყენების გზაზე.

საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სახლთსამმართველოებში იქმნება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელშემწყობი ჯგუფები. საამქროებში, განყოფილებებში, უბნებში, საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადებში იქმნება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები ან საგუშაგოები, ამასთან გათვალისწინებულია წარმოების პირობები, ხასიათი და მასშტაბი.

რესპუბლიკაში უკვე გაწეულია გარკვეული მუშაობა, რათა შეიქმნას ძირეული რგოლები — პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები. მშრომელთა კრებები ყველგან მიმდინარეობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ერთსულოვანი მოწონებისა და მაღალი პასუხისმგებლობის შეგნების ნიშნით. პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ კრებებზე, აგრეთვე კოლმეურნეთა, სახლთსამმართველოების მობინადრეთა საერთო კრებებზე საფუძვლიან ინფორმაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზე, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოთა ამოცანებზე, როგორც წესი, აკეთებენ პარტიულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნები, ადგილკომების თავმჯდომარეები, აგრეთვე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოთა პასუხისმგებელი მუშაკები.

კრებებზე წყდება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების შექმნის საკითხი და განსაზღვრება მათი რაოდენობრივი შემადგენლობა საწარმოს, დაწესებულების, მშენებლობის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საამქროს და ა. შ. ხასიათისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კრებები ჯგუფებსა და საგუშაგოებში თავიანთ წარმომადგენლებად გზავნიან ყველაზე აქტიურ და ავტორიტეტიან ამხანაგებს, როგორც კომუნისტებს, ისევე უპარტიოებს, რომლებსაც ირჩევენ ღია კენჭისყრით ყოველი კანდიდატურის გულდასმით განხილვის შემდეგ. გაგზავნილ ამხანაგებს კრებები განაწესებს აძლევენ. ამ განაწესებში გათვალისწინებულია საკითხები, რომლებიც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ყველაზე დიდ ხელშემწყობ ჯგუფებში დელეგირებული ამხანაგები თავიანთ კრებებზე ირჩევენ ჯგუფების ბიუროებს. ხელშემწყობი ჯგუფების თავმჯდომარეებსა და მათს მოადგილეებს ირჩევენ ჯგუფის წევრთა საერთო კრებაზე და ამტკიცებენ პარტიული კომიტეტი ან პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროო და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ზემდგომი ორგანო. ამასთან, თავმჯდომარედ, როგორც წესი ირჩევენ პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილეს, რომელმაც უნდა მოახდინოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების ღონისძიებათა კოორდინაცია ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, პარტიული კონტროლის კომისიების, საწარმოო თათბირების, „კომკავშირული პროექტორის“ მუშაობასთან და საზოგადოებრივი კონტროლის სხვა არსებულ ფორმებთან.

რესპუბლიკის უმსხვილეს საწარმოში — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც პარტიული, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა სტრუქტურა მრავალ საფეხურიანი და რთულია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების შექმნამ საქმიანად და მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა.

ქართველ მეტალურგთა აზრები კარგად გამოხატა თავის გამოსვლაში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის კრებაზე ამ ჯგუფის წევრმა, მარტენის საამქროს მოწინავე მეფოლადეს გრიგორ ბერეკაშვილმა: „ერთიანი ყოვლისმომცველი და მუდმივმოქმედი კონტროლის ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, რომელიც მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას“.

პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ კრებებზე შეიქმნა ხელშემწყობი ჯგუფები საამქროებში, ხოლო საამქროთა შიგნით ცვლებსა და უბნებში, მაგალითად, მილსაგალნავ საამქროში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობი, საამქრო ჯგუფი შეიქმნა 81 კაცის შემადგენლობით, აქედან 35 სკკპ წევრი და 21 კომკავშირელია. აქ, წარმოების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, შექმნილია კონტროლის 5 ცვლის ჯგუფი, რომელშიც შედიან პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები და მოწინავე მუშები და სპეციალისტები. ისინი ცვლების პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ კრებებზე აირჩიეს. ყოველი ცვლის ჯგუფში წარმოების დიდმნიშვნელოვან უბნებზე შექმნილია 4 საგუშაგო.

ხელშემწყობმა ჯგუფებმა თავიანთ კრებებზე აირჩიეს ჯგუფების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, აგრეთვე ჯგუფების ბიუროები. მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით ბიუროს წევრთა შორის განაწილდა ფუნქციები. ხელშემწყობი საამქრო ჯგუფის თავმჯდომარედ არჩეულია საამქროს პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილე. საამქრო ჯგუფის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები დაამტკიცა ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა, კონტროლი ცვლის ჯგუფის თავმჯდომარეები და თავმჯდომარეთა მოადგილეები კი — საამქროს პარტიულმა ბიურომ და დასამტკიცებლად წარუდგინა რუსთავის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტს.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში სულ შექმნილია 59 ხელშემწყობი ჯგუფი და 265 საგუშაგო და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი საერთო-საქარხნო ჯგუფი 69 კაცის შემადგენლობით, რომელმაც, თავის მხრივ, აირჩია საქარხნო ხელშემწყობი ჯგუფის ბიურო 9 კაცის შემადგენლობით. ბიუროს შემადგენლობაში არიან წარმოების მოწინავენი — მეფოლადე ბერეკაშვილი, მვალცავი ლომომაძე, მსხმელთა ბრიგადირი გვაზავა და სხვები. ჯგუფის თავმჯდომარედ არჩეულია ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ამხ. ბაქრაძე.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა საწარმოთა მუშები, მოსამსახურეები და სპეციალისტები, თავიანთ წარმომადგენლობად კონტროლის ორგანოთა შემადგენლობაში წარმოების საუკეთესო მუშაკებს რომ გზავნიან, ხაზგასმით აღნიშნავენ მათს დიდ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის, აძლევენ პრაქტიკულ განაწესებს, მათს ყურადღებას მიაპყრობენ წარმოების უმნიშვნელოვანეს გადაუჭრელ ამოცანებს.

გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ ტკვიავის კოლმეურნეებმა დიდი დაინტერესებით განიხილეს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფების ამოცანები. კოლმეურნეობაში გაიმართა ღია პარტიული კრება. კრებამ საჭიროდ მიიჩნია შეექმნას პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ერთი საერთო-საკოლმეურნეო ჯგუფი და ხელშემწყობი საგუშაგოები ყველა ბრიგადასა და მეცხოველეობის ფერმაში. კრებამ ხელშემწყობ ჯგუფში გაგზავნა პარტიის ცხრა წევრი, საგუშაგოებში კი — 6 კომუნისტი. კომუნისტების აზრს მხარი დაუჭირეს კომკავშირელთა საერთო კრებამ და ბრიგადების კოლმეურნეთა საერთო კრებებმა, რომელმაც გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები როგორც საერთო-საკოლმეურნეო ჯგუფში, ისევე ხელშემწყობ საგუშაგოებში. ამ კოლმეურნეობაში, სადაც 1.800 კოლმეურნე მუშაობს, შეიქმნა ერთი ხელშემწყობი საერთო-საკოლმეურნეო ჯგუფი 61 კაცის შემადგენლობით და 11 საგუშაგო ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმაში სულ 50 კოლმეურნის შემადგენლობით. თავის პირველ კრებაზე ხელშემწყობმა ჯგუფმა თავმჯდომარედ აირჩია კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილი, ხატისკაცი. აირჩიეს აგრეთვე ბიუროს 9 კაცის შემადგენლობით.

თავიანთი წარმომადგენლები — მოწინავე ადამიანები რომ გაგზავნეს კონტროლის ორგანოებში, სოფლის კომუნისტებმა, კოლმეურნეობის მშრომელებმა მისცეს მათ განაწესი — მეტი ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცების, ნათესი ფართობების სწორად გამოყენების, პირუტყვის სულადობის და პროდუქტიულობის გადიდების საკითხებს, წინადადება მისცეს მათ სასტემატურად აწარმოონ ამის შემოწმება, თუ როგორ ასრულებენ ფატიურად კოლმეურნეობა, ცალკეული ბრიგადები და ფერმები საგეგმო დავალებებს.

იმის მაგალითად, თუ როგორ იქმნება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ძირეული რგოლები კოლეტივებში, სადაც პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები არ იყოფიან პირველად ორგანიზაციებად, გამოდგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი. ინსტიტუტის პარტიულმა კრებამ საჭიროდ მიიჩნია შეექმნას ერთი ხელშემწყობი საერთო-საინსტიტუტო ჯგუფი და ხელშემწყობი საგუშაგოები ინსტიტუტის ყველა ლაბორატორიაში. ანალოგიური გადაწყვეტილებანი მიიღეს საერთო-საინსტიტუტო კომკავშირულმა და პროფკავშირულმა კრებებმა. ხელშემწყობმა ჯგუფმა აირჩია ბიურო 5 კაცის შემადგენლობით; ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. ნოზაძე.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ძირეული რგოლების შექმნისადმი მიძღვნილმა კრებებმა აქტიურად და დიდი აღმავლობით ჩაიარა „მთავრობილისმშენის“ № 9 სამშენებელო სამმართველოში, თბილისის ცენტრალურ უნივერმაღაზიაში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში, მშენებლობებზე და დაწესებულებებში.

პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კრებები, რომლებზეც იქმნება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები, ეწყობა რესპუბლიკის ყველა საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში, სახლთსამმართველოში, იმ ვარაუდით, რომ ეს დიდი პარტიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება არ გაჭიანურდეს და მიმდინარე თვეში დამთავრდეს. ეჭვი არ არის, რომ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კრებები მაღალ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩაივლის. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების შემადგენლობაში გაგზავნიან ყველაზე აქტიურ და ავტორიტეტიან ამხანაგებს.

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მწყობრი სისტემის შექმნის შესახებ, რესპუბლიკაში შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დამტკიცა რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით. შეიქმნა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები. ყველა ქალაქსა და რაიონში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებში, სარეწველო ზონებსა და ქალაქ თბილისის რაიონებში აგრეთვე იქმნება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები.

პირველი დღეებიდანვე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კონტროლის ახალი ორგანოების მოელი მუშაობა, თავიდან ბოლომდე, მიმდინარეობდეს პარტიული ორგანიზაციის სისტემატური და შეუნელებელი ხელმძღვანელობით. ამაზეა დამოკიდებული საქმის წარმატება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საკონტროლო ორგანოების შექმნა არავითარ შემთხვევაში არ ხსნის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არა მარტო კონტროლის ორგანოები, არამედ აგრეთვე ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანები, თავიდან ბოლომდე, გაძლიერებენ კადრების პასუხისმგებლობას პარტიისა და მთავრობის დირექტივების განუხრელად შესრულებისათვის, კონტროლი გახდება მუშაობის გაუმჯობესების ნამდვილად მძლავრი საშუალება კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონტროლის საქმეში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის თვითეულმა კომიტეტმა თავის გარშემო შემოიკრიბოს მოწინავე მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის წარმომადგენელთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ფართო აქტივი, რომელნიც ღრმად ერკვევიან ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა საკითხში და მზად არიან კეთილსინდისიერად, საზოგადოებრივ საწყისებზე შეასრულონ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების ყოველი დავალება. აქტივისტთა რიცხვიდან კომიტეტებთან უნდა შეკმნილთ შტაბგარეშე დარგობრივი განყოფილებანი,

„სახელმწიფოს მართვის ამოცანა, რომელიც ახლა პირველ პლანზე დადგა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — წარმოადგენს კიდევ იმ თავისებურებას, რომ ახლა საქმე ეხება — და, შეიძლება ითქვას, პირველად ცივილიზებულ ხალხთა უახლეს ისტორიაში — ისეთ მართვას, როცა უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არამედ ეკონომიკას“.

პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გარდაქმნა თავიდან ბოლომდე საწარმოო პრინციპის მიხედვით საშუალებას იძლევა უზრუნველყოთ მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის უფრო კონკრეტული და გეგმაზომიერი ხელმძღვანელობა, მოავარი ყურადღება მივაქციოთ საწარმოო საკითხებს. ამ პირობებში კონტროლის ახალი ორგანოების უპირველესი და საპატიო ამოცანაა ღირსეული წვლილი შეიტანონ პარტიისა და ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანის შესრულებაში — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

1962 წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს კომუნისტურ მშენებლობაში. მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,5 პროცენტით შეასრულა. დიდი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს მეჩიაიებმა, რომლებმაც მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 170.437 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ამით მიაღწიეს ზვიდწლეული ოთხ-ოთ ბოლო ორ-ორ ბოლ-ბ-ბ-ბ

„დიდი ქიმიის“ მშენებლობა რუსთავში

სურათზე: რუსთავის კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე მომუშავე მოწინავე მემონტაჟეები: (მარჯვნიდან) ვ. კურბატოვი, მ. ახიჯანოვი, შ. ნადარეიშვილი და ს. ხუნდახიშვილი.

ფოტო გ. გოგობიასი.

ქართული კაპროლაქტამი — მაის შიო!

ბუშინ კაპროლაქტამის მშენებლობაზე

□ ბუშინ კაპროლაქტამის მშენებლობაზე იმუშავა 1.200-ზე მეტმა მშენებელმა და მემონტაჟეებ.

□ ეკვსმა სამონტაჟო ორგანიზაციამ 955 კორპუსზე ჩასატარებელი ყველა სახის სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა.

□ დღიური ნორმა ორმაგად გაანაღდა „ქიმმრეწვმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კომკალექსურმა ბრიგადამ, რომელსაც გამოჩენილი მეგებტონე მ. ბილიხოძე ხელმძღვანელობს.

○ ○

გუშინ კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე 1.200-ზე მეტი კაცი გამოვიდა სამუშაოდ. როგორც ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის მმართველმა ზ. ჯაფარიძემ განაცხადა, უახლოეს დღეებში მშენებლობას კიდევ შეემატება 200-250 სპეციალისტი.

ჩვენს წინ დევს მუშაობის ერთკვირეული განრიგი. გთვალისწინებულ ვადებში უკვე ჩაბარეს № 955 კორპუსზე გუშინ გთვალისწინებული სამუშაოები „იუვენტალურგმატიკის“, „პრომგენტილაციის“, „კავსანტექმონტაჟის“, „სვიაზჩერმეტის“, „ქიმმრეწვმშენის“ და „სპეცმშენის“ სამმართველოებმა. ამ კოლექტივებმა პირნათლად გაანაღდეს სხვა კორპუსებზე განრიგით გათვალისწინებული სამუშაოებიც.

მაგრამ ასეთივე პასუხისმგებლობით როდი მოეკიდა განრიგის შესრულებას ზოგიერთი სამონტაჟო ორგანიზაცია. „ტერმოიზოლიაციის“ სამონტაჟო სამმართველომ, რომელიც ვალდებული იყო კიდევ 11 თებერვლისთვის ჩაბარებინა 955 კორპუსზე სამუშაო აქტები. 13 თებერვლისთვისაც ვერ უზრუნველყო მათი ჩაბარება.

არ დავუშვათ შეფერხება

„მეტალურგპროკატმონტაჟის“ სამმართველოს დავალებული ჰქონდა სწრაფი ტემპით ეწარმოებინა 956 კორპუსის საარმატურო სამუშაოები, მაგრამ როგორც სამმართველოს უბნის უფროსთან მ. მიროშნიკოვთან საუბარში გამოირკვა, აზოტოვანი სასუქების ქარხნის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო ეს კოლექტივი არმატურით.

— გვკირდებიან, — განაცხადა მ. მიროშნიკოვმა, — რომ 16 თებერვალს მოგვაწვდიან არმატურას. ეს ვადა არავითარ შემთხვევაში არ გვიწყობს ხელს. არმატურის დაგვიანებით მიღება გამოიწვევს მეტად საჭქარო სამუშაოების შეფერხებას. სხვათა შორის, ერთკვირეულ განრიგში გარკვევით არის აღნიშნული, რომ აზოტოვანი სასუქების ქარხნის ადმინისტრაციას მემონტაჟეებისათვის 13 თებერვალს უნდა მიეცა აღნიშნული არმატურის ნაწარმი.

ფერდება 974 კორპუსზე ქვაბების ამოგების სამუშაოები. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ორი დღეა დაკეტილია № 8 საწყობი და „ტეპლოსტროის“ სამმართველოს საშუალება არ ეძლევა მიიღოს ქვაბების ამოგებისათვის საჭირო მასალები.

ზემო აღნიშნულ სამმართველოთა ხელმძღვანელებს რატომ ავიწყდებათ, რომ რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობა გამოცხადებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტად და ოდნავი უყურადღებობა ნიშნავს ხელი შეუშალო ამ დიდი ქიმიის მშენებლობის დროზე დამთავრების საქმეს.

მუშაობის არანორმალური პირობები შეექმნა „ქიმმრეწვმშენის“ სამშენებლო კოლექტივს, ჩოლაბურის გამდიდრებულ სილის უქონლობის გამო შეფერხდა კორპუსებში იატაკების მოგების სამუშაოები. ჩოლაბურის სილით უზრუნველყოფის საკითხი ოპერატიულად გადაწყვიტა „კაპროლაქტამის“ წარმოების მშენებლობის შტაბმა, მისმა ხელმძღვანელმა ს. ბაბაევმა.

ბ. დემეტრაშვილი — „ქიმმრეწვმშენის“ სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ა. ბერიძე — ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის ნორმატივულ-საკვლევი სადგურის უფროსი, ლ. ჩარკვიანი — აზოტოვანი სასუქების ქარხნის ამონიუმის სულფატის საამქროს ცვლის უფროსი, მ. ზაქვლიევი — ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის მოწყობილობათა ბაზის უფროსი, ზ. მერკვილაძე — „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

□ □

რედაქციისაგან: ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილ წერილში მოყვანილ ნაკლოვანებათა შესახებ რედაქცია დაუკავშირდა იმ სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომლებსაც ეს კრიტიკა შეეხებოდა. როგორც „მეტალურგკროკატმონტაჟის“ სამმართველოს უფროსმა ვ. იმნაძემ გვაცნობა, 481 კორპუსის რეზერვუარში წყალი ამოტუმბეს და უკვე ჩაატარეს შედუღების სამუშაობები. „ქიმმრეწვმშენის“ და „სტროიმეკანიზაციის“ მშენებელთა ხელმძღვანელებმა სასადილოს მშენებლობაზე ორ ცვლად მუშაობა შემოიღეს.

ჯერ კიდევ მოუგვარებელია მშენებლების მომარაგება სათანადო ესკიზებით. ამ საკითხთან დაკავშირებით აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპიტალური მშენებლობის ტექნიკური განყოფილების უფროსმა დ. პატარიძემ განაცხადა, რომ მუშაობის დასაჩქარებლად გადაწყვეტეს თვითონვე შეადგინონ დამატებითი სამუშაოების ოპერატიული ნახაზები.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲯᲔᲓᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ნიუ-იორკი, 12 თებერვალი. საკუთარი კორესპონდენტი ლ. ვალერიანსკი იუწყება: 19 თებერვალს ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვა ვენესუელის პრეზიდენტი რომულო ბეტანკური. როგორც პრესა იუწყება, ბეტანკურს განზრახული აქვს, გარდა სხვა პრობლემებისა, განიხილოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ვენესუელისათვის ეკონომიური დახმარების საკითხი.

ამას წინათ ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელმა უილიამ კრემერმა (ფლორიდის შტატი) ამის თაობაზე განაცხადა, რომ სანამ ვენესუელას რაიმე დახმარებას გაუწევდეს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ბეტანკურს უნდა მისცეს შემდეგი ექვსი კითხვა: „აქვს თუ არა ბეტანკურის მთავრობის ამის გეგმა, რომ უყოყმანოდ გამოაცხადოს კომუნისტური პარტია კანონგარეშე?“

„აქვს თუ არა მთავრობას იმის გეგმა, რომ სახელმწიფო აპარატი და განათლების ორგანოები გაწმენდოს მარაგლრიცხოვან კომუნისტთაგან და კომუნისტების თანამგრძნობ პირთაგან?“, „ბოლოს მოუღებს თუ არა მთავრობა თავის ახლანდელ ორპოფულ პოლიტიკას კერძო ბიზნესის მიმართ და დაიკავებს თუ არა ნათელ და შეუმცდარ პოზიციას კერძო მეწარმეობის მხარდასაჭერად?“

„უარს იტყვის თუ არა მთავრობა ვენესუელის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ნაციონალიზაციის თავს, ახლანდელ გეგმებზე?“

„იკისრებს თუ არა მთავრობა ვალდებულებას ბოლო მოუღოს თავის ახლანდელ პოლიტიკას — მთავრობის დეკრეტების საშუალებით ვენესუელის მართვის პოლიტიკას?“

„დადებს თუ არა მთავრობა პირობას, რომ ამერიკის შემდგომი დახმარება ... არ „გაიფლანგება“ რადიკალური ხასიათის დემაგოგიურ ექსპერიმენტებზე? შეეროვებული შტატების ყოველი შემდგომი დახმარება ვენესუელის მთავრობისადმი, — თქვა კრემერმა, — ამ კითხვებზე გაცემულ დადებითს პასუხზე უნდა იყოს დამოკიდებული“.

ამრიგად, ფლორიდელმა კონგრესმენმა აშკარად და ტლანქად ჩამოაყალიბა მოთხოვნები, რომლებსაც ამერიკის მთავრობა ჩვეულებრივ უფრო რბილად და შენიღბულად აყენებს ხოლმე ამერიკული „დახმარების“ მიღების პირობად.

უნდა ითქვას, რომ მთავრობა, რომელსაც ბეტანკური მეთაურობს, უკვე დიდი ხანია ასრულებს ბევრ იმ მოთხოვნას, რომლებიც კრემერმა ჩამოაყალიბა და მიუხედავად ამისა ფლორიდელი კონგრესმენის ექსი მოთხოვნა, მიმართული ფორმალურად სუვერენული სახელმწიფოს მეთაურისადმი, ვენესუელის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის იქტია.

მაგრამ კრემერი როდი დასჯერდა თავისი თავხედური მოთხოვნების ჩამოთვლას. მან აკო და ადიდა როგორც შეეროვებული შტატების ერთგული მეგობარი ვენესუელის ყოფილი დიქტატორი პერეს ხიმენესი. ვენესუელა მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადასცენ მას პერეს ხიმენესი როგორც ლანძღავე. ფლორიდელმა კონგრესმენმა განაცხადა: როცა ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში, ბეტანკურმა ზოგიერთი გაუბედავი ნაბიჯი გადადგა ამერიკის ნავთობის კონცესიების გასაუქმებლად. ოფიციალური ვაშინგტონის თვალსაზრისით კი ყველაზე საშინელი დანაშაული იმის ცდა, რომ შეელახონ ამერიკის ნავთობის მონოპოლიების ინტერესები.

„ფრანგული ენის შესწავლა ისე ისე იოლია, როგორც ჩვენ გვგონია. მაგრამ მაკი (მაკმილანი — რედ.) საერთოდ სრულიად უუნარო აღმოჩნდა ამ მხრივ“. (გაზეთი „დეილი უორკერი“).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

ᲛᲐᲜᲔᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲒᲔᲜ...

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲐᲜᲔᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲝᲚᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ 150.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲖᲝᲒᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ.

□ □

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ

ᲒᲠᲛᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲒᲕᲔᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲝᲚᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ 150.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲖᲝᲒᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ 150.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲖᲝᲒᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ.

1. **1963** ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲖᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ;

2. ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲣᲨᲐᲝ **160.000** ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ, ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 12 ᲗᲝᲜᲐ ᲜᲐᲠᲗᲘᲡ, ᲮᲝᲚᲛ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲜᲝᲑᲘᲗ ᲮᲐᲠᲯᲕᲘᲗ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲘᲒᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 13 ᲗᲝᲜᲐ ᲜᲐᲠᲗᲘᲡ ᲓᲐ **100.000** ᲪᲐᲚᲘ ᲙᲢᲠᲘᲪᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ.

3. ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲘᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲕᲐᲛᲐᲚᲚᲝᲗ 5 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ;

4. ᲓᲐᲕᲜᲖᲝᲒᲝᲗ **600.000** ᲙᲘᲚᲝᲕᲐᲢ-ᲡᲐᲐᲗᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲔᲠ�გᲘᲐ;

5. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲦᲘᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲒᲘᲦᲝᲗ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲠᲘᲪᲮᲝᲗ **60.000** ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ;

6. ᲬᲚᲘᲡ ᲐᲕᲘᲗᲘᲡᲗᲝᲗ ᲢᲠᲘᲙᲝᲢᲐᲟᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ;

7. ᲓᲐᲕᲜᲖᲝᲒᲝᲗ 55 ᲢᲝᲜᲐ ᲑᲐᲛᲑᲐ, 100 ᲢᲝᲜᲐ ᲞᲘᲠᲝᲜᲘᲗᲘ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ;

8. ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲯᲐᲠᲝ. 13 ᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲝᲗᲘᲠᲝ ᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ.

9. ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲗᲣᲗᲛᲝᲗ ᲒᲐᲛᲛᲐᲒᲝᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲕᲘᲜᲐ, 12 თებერვალი. (საკდესი). ავსტრიის კომუნისტური პარტიის ორგანო „ფოლკსშტიმე“ დღეს დაწვრილებით ბეჭდავს „პრავდის“ სარედაქციო სტატიის შინაარსს დიდი სათაურით: „პრავდა“ „მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის საკითხების შესახებ“, „ეს სტატია, აღნიშნავს „ფოლკსშტიმე“ მოწოდებაა მარქსისტულ-ლენინური პარტიების ერთიანობისა და სოციალიზმის ქვეყნების შეკავშირებისათვის, სტატიაში ხაზგასმულია, რომ კომუნისტური პარტიების ერთობა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეკავშირება თანამედროვე ეპოქაში საჭიროა უფრო, ვიდრე ოდესმე.

ბულგარეთის გაზეთები „ნოიეს ესტერრახი“, „ესტერრაიხიშე ნოიეტაგესციტუნგი“, „ფოლკსბლატი“ და სხვა გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ „პრავდის“ სარედაქციო სტატიის შინაარსს.

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲒᲐᲓᲛᲝᲑᲠᲘᲝᲒᲐ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 12 თებერვალი. (საკდესი). უნგრეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა დღეს დაბეჭდა „პრავდის“ სარედაქციო სტატიის „კომუნისტური მოძრაობის მარქსისტულ-ლენინური ერთიანობისათვის, სოციალიზმის ქვეყნების შეკავშირებისათვის“ დაწვრილებითი შინაარსი.

გაზეთი „ნეფსაბადშაგი“ ხაზს უსვამს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის მნიშვნელობას და ქვესათაურებში წერს: ყოველ ვითარებაში უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც გვაერთიანებს.

„ნეფსავა“ აღნიშნავს „პრავდის“ სტატიის უდიდეს მნიშვნელობას საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის.

სოფია, 12 თებერვალი. (საკდესი). ბულგარეთის დღევანდელი პრესა ფართოდ განმარტავს გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიას „კომუნისტური მოძრაობის მარქსისტულ - ლენინური ერთიანობისათვის, სოციალიზმის ქვეყნების შეკავშირებისათვის“.

„პრავდის“ სტატიაში, წერს „რაბოტნიჩესკო დელო“, მოცემულია იმ პრობლემათა ლენინური ანალიზი, რომლებიც ახლა დგას საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინაშე, სოციალისტური ქვეყნების დიდი თანამეგობრობის წინაშე. „პრავდის“ სტატია, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, მგზნებარე მოწოდებაა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთიანობისა და შეკავშირებისათვის მარქსისტულ-ლენინური და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების საფუძველზე.

გაზეთი „ზემლედელიკო ზნამე“ „პრავდის“ სარედაქციო სტატიას უწოდებს კიდევ ერთ მკაფიო დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ საქმიანობას საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის.

ᲕᲘᲜᲐ, 12 თებერვალი. (საკდესი). ავსტრიის კომუნისტური პარტიის ორგანო „ფოლკსშტიმე“ დღეს დაწვრილებით ბეჭდავს „პრავდის“ სარედაქციო სტატიის შინაარსს დიდი სათაურით: „პრავდა“ „მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის საკითხების შესახებ“,

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

□ 14 თებერვალს კუბაში იწყება საბჭოთა ფილმის კვირეული. ამასთან დაკავშირებით ჰავანას ჩავიდა საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკების დელეგაცია. კვირეულის დროს უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს „ციური ძმები“, „ივანეს ბავშვობა“, „ქალიშვილები“, „წელიწადის ცხრა დღე“, „ადამიანი მიჰყვება მზეს“.

□ დიდი წარმატებით მიმდინარეობს ავსტრალიაში ნელი ზეოლნიკოვას გასტროლები. გაზეთები აქებენ დიდძალ გამოხმაურებას საბჭოთა მევიოლინის მაღალ ხელოვნებასა და მუსიკალურ კულტურაზე.

□ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი მაკოუნი ლონდონს ჩავიდა. ინგლისის ხელისუფლებმა ყოველი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ მისი იქ ჩასვლა შეუმჩნეველი ყოფილიყო.

□ საფრანგეთის ქალაქ ბორდოს მშრომელებმა გამართეს ესპანელ ხალხთან სოლიდარობის დღე. მრავალი დელეგაცია ეწვია ესპანეთის საკონსულოს ბორდოში და გადასცა პეტიციები ფრანკისტთა სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ქალაქში გაიმართა ესპანელ დემოკრატებთან სოლიდარობის მიტინგი. (საკდესი).

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲔᲠᲐᲧᲨᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 12 თებერვალი, (საკდესი). ერაყის ახალი მთავრობა კონტროლს უწევს ამ ქვეყნის მდგომარეობას, იუწყება მენის სააგენტოს ბაღდადელი კორესპონდენტი. თვით ერაყის დედაქალაქში წარმოებს ნორმალური ცხოვრების აღდგენა, ანსახლება მაღაზიები, ქუჩები სავსეა ხალხით. ტანკები და ჯავშანმანქანები, რომლებიც უკანასკნელ დღეებში ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე იდგნენ, უბრუნდებიან თავიანთ ნაწილებს.

ერაყის რევოლუციის ეროვნულმა საბჭომ გუშინ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც უარყოფს გავრცელებულ ხმებს, რომ ახალი მთავრობა აპირებს გაიაქმაოს კანონი ავარიული რეფორმის შესახებ. გლეხები და ყველა პირი, რომელთა ინტერესებისათვის გამოიცა ეს კანონი, ნათქვამია განცხადებაში, შეიძლება დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს კანონი ძალაში დარჩება.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 12 თებერვალი, (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი ბეირუთიდან იუწყება, რომ მთელი გუშინდელი დღე განმავლობაში ბასრის ქუჩებში გრძელდებოდა შეიარაღებული შეტაკება და სროლა ერაყის ახალი რეჟიმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის.

ბასრაში შემოღებულია კომენდანტის საათი საღამოს 5 საათიდან დილის 6 საათამდე.

მაგრამ, შენიშნავს კორესპონდენტი, სროლის მიუხედავად ბასრის ცალკეულ რაიონებში, ნავსადგურში თანდათანობით იწყება ნორმალური მუშაობა, ოთხი დღის შემდეგ ტანკერებმა განაახლეს მოძრაობა ალადინსა და სპარსეთის ყურეს შორის.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲘᲠᲗᲘ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 12 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „ᲐᲗᲔᲜᲘᲡ“ ცნობით, საბერძნეთის საერთო პირდაპირი და არაპირდაპირი სამხედრო ბარჯეები 1963 წელს მიაღწევს უზარმაზარ ოდენობას — 7 მილიარდ დრაქმას.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ამ ხარჯების შემცირების შედეგად შეიძლება განთავისუფლდეს დიდი სახსრები საბერძნეთის ინდუსტრიალიზაციისათვის.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ ᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲦᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 12 თებერვალი, (საკდესი). ათენის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ იმ განცხადების შინაარსს, რომელიც საკდესმა გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გამოცდის განახლებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირი გმობს იმას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაახლეს ატომური იარაღის გამოცდა, ხაზს უსვამს გაზეთი „ავგი“, ეს გამოცდა ართულებს მოლაპარაკებას განიარაღების საკითხებზე და ახალ ბიძგს აძლევს გამალებულ ატომურ შეიარაღებას.

გაზეთი „კატიმერინი“ აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გამოცდის განახლება ართულებს პირობებს ქმნის 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობისათვის ჟენევაში.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲯᲔᲓᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 12 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ლ. ვალერიანსკი იუწყება: 19 თებერვალს ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვა ვენესუელის პრეზიდენტი რომულო ბეტანკური. როგორც პრესა იუწყება, ბეტანკურს განზრახული აქვს, გარდა სხვა პრობლემებისა, განიხილოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ვენესუელისათვის ეკონომიური დახმარების საკითხი.

ამას წინათ ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელმა უილიამ კრემერმა (ფლორიდის შტატი) ამის თაობაზე განაცხადა, რომ სანამ ვენესუელას რაიმე დახმარებას გაუწევდეს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ბეტანკურს უნდა მისცეს შემდეგი ექვსი კითხვა: „აქვს თუ არა ბეტანკურის მთავრობის ამის გეგმა, რომ უყოყმანოდ გამოაცხადოს კომუნისტური პარტია კანონგარეშე?“

„აქვს თუ არა მთავრობას იმის გეგმა, რომ სახელმწიფო აპარატი და განათლების ორგანოები გაწმენდოს მრავალრიცხოვან კომუნისტთაგან და კომუნისტების თანამგრძნობ პირთაგან?“, „ბოლოს მოუღებს თუ არა მთავრობა თავის ახლანდელ ორპოფულ პოლიტიკას კერძო ბიზნესის მიმართ და დაიკავებს თუ არა ნათელ და შეუმცდარ პოზიციას კერძო მეწარმეობის მხარდასაჭერად?“

„უარს იტყვის თუ არა მთავრობა ვენესუელის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ნაციონალიზაციის თავს, ახლანდელ გეგმებზე?“

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 თებერვალი (საკდესი). ლეიბორისტული ოპოზიციის რეზოლუცია, რომელშიც გაკრიტიკებულია ინგლისის მთავრობის პოლიტიკა ბრიუსელის მოლაპარაკების ჩაფუშვის შემდეგ, გუშინ უარყვეს თერთა პალატაში 333 ხმით 227-ის წინააღმდეგ.

თემთა პალატამ 330 ხმით 227-ის წინააღმდეგ მიიღო მთავრობის რეზოლუცია, რომელშიც იწონებენ მთავრობის პოლიტიკას.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 13 თებერვალი. (საკდესი). უტან პრადეშის შტატში (ჩრდილოეთ ინდოეთი) მძვინვარებს ყვავილის ეპიდემია. როგორც ოფიციალურად გამოაცხადეს შტატის საკანონმდებლო კრებაში, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ყვავილისაგან დაიღუბა 1.785 კაცი. სულ აქ აღრიცხულია ყვავილით დაავადების დაახლოებით 6.000 შემთხვევა.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲐᲒᲐᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲒᲠᲐᲮᲕᲐ

ᲓᲔᲚᲘ, 12 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნულმა საბჭომ გუშინ სესიაზე მიიღო რეზოლუცია დასავლეთის სახელმწიფოთა იმ წინადადებათა გამო, რომ მათ„ დახმარებით ინდოეთში შეიქმნას საჰაერო თავდაცვის სისტემა.

ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭო, ნათქვამია რეზოლუციაში, სერიოზულ შეშფოთებას გამ

ჩვენი კალენდარი • ცნობები • ფაქტები • სპორტული ქრონიკა

კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა IV ტომი

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა და ხელსმომწერლებს დაურიგდათ **კონსტანტინე გამსახურდიას** რჩეულ თხზულებათა რვატომეულის IV ტომი.

ამ ტომში დაბეჭდილია ცნობილი ტეტრალოგიის „დავით აღმაშენებლის“ მესამე და მეოთხე წიგნები. ტომს დართული აქვს აგრეთვე მესამე წიგნისა და ტეტრალოგიის ბოლოსიტყვები.

სარედაქციო კოლეგიაში, რომლის საერთო რედაქციითაც იბეჭდება მწერლის რვატომეული, შედიან ი. აბაშიძე, ს. ჭილაია, გ. ნატრიშვილი. გამომცემლობის რედაქტორია შ. ამისულაშვილი, მხატვარი ვლ. გრიგოლია. ტირაჟი 40.000. ფასი 1 მან. 57 კაპ.

ახალი წიგნები

ანა ანტონოვსკაია. „დიდი მოურავი“. წიგნი V. თარგმანი არისტო ჯუმბაძისა.

წიგნი გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. ყდა და ტიტული ვლ. გრიგოლიასი. ილუსტრაციები გ. თოთიბაძისა. ტირაჟი 10.000. ფასი 1 მან. 14 კაპ.

გიორგი ციციშვილი. „ქართული საბჭოთა დრამატურგია“. ნაწილი პირველი.

წიგნი გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“. რედაქტორია ბ. მირცხულავა. მხატვარი ზ. ხარაბაძე. ტირაჟი 2.000 ფასი 1 მან. 50 კაპ.

კინო შახტში

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის საერთო საგანრიგოს დარბაზში ცვლის გასვლის წინ სამასამდე მეშახტე იკრიბება. „ყურადღება, ყურადღება, ვიწყებთ კინოს!“ — გაისმის ნაცნობი ხმა.

დარბაზი ბნელდება და სახელდახელოდ მოწყობილ ეკრანზე მცირემეტრაჟიან კინოფილმს უჩვენებენ...

მეშახტეებმა მიდინარე წელს უკვე ნახეს მცირემეტრაჟიანი დოკუმენტალური ფილმი „გზა ვარსკვლავებისაკენ“, „მეშახტეე, დაიხსომე“, „მოსკოვი ხვდება კოსმონავტებს“, „ნავთობის მოპოვება“, „ციური ძმები“ და სხვ.

„**მინდა,** რომ ბგერა პირდაპირ გამოხატავდეს სიტყვას. მინდა სიმართლე“. ეს მოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსის შემცველი სიტყვები, რომლებიც დიდ რუს კომპოზიტორს ალექსანდრე სერგის-ძე დარგომიჟსკის ეკუთვნის, ამომწურავად გადმოგვცემს მთელი მისი მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობის იდეურ-ესთეტიკურ დედააზრს, მის მხატვრულ მრწამსს, რომლისთვისაც ამ შესანიშნავ ხელოვანს ერთხელაც არ უღალატნია.

დარგომიჟსკი გენიალური გლინკას უმცროსი თანამედროვეა. გარდა პირადი მეგობრობისა, რამაც 22 წელს გასტანა, მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო მშობელი ერისადმი უანგარო სამსახურში. ორივე თანამედროვეა რუსული ფოლკლორი მუსიკალური სკოლის ფუძემდებლებად და რეალისტური შემოქმედებითი მიმართულების გამოჩენილ წარმომადგენლებად. მაგრამ, ამასთან ერთად, განსხვავებულია თვითეული მათგანის შემოქმედებითი გზა, იდეურ-ესთეტიკური მიზანდასახულობანი, ემოციური გზნება, წერის მანერა. საკომპოზიტორო მოღვაწეობის პირველ პერიოდში დარგომიჟსკის აშკარად ემჩნევა გლინკას მზიური შემოქმედების გავლენა. მაგრამ დროთა ვითარებაში, „ალის“ ავტორმა შეძლო საკუთარი მხატვრული გზის გაკვლევა და რუსული სამუსიკო ხელოვნების ფასდაუდებელი ქმნილებებით გამდიდრება. მის ოპერებს, სიმღერა-რომანსებს და სიმფონიურ პიესებს საპატიო ადგილი აქვთ განკუთვნილი რუსი ხალხის სულიერი კულტურის საგანძურში.

ალექსანდრე სერგის-ძე დარგომიჟსკი დაიბადა 1813 წლის 2 (14) თებერვალს, ტულის გუბერნიაში, სახელმწიფო მოხელის ოჯახში. მუსიკალური ნიჭი მას ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა, რის გამო მშობლებმა დაიწყებინეს მეცადინეობა როიალსა და ვიოლინოზე. მაგრ ახალგაზრდა მუსიკოსს შემოქმედებისადმი მისწრაფებაც დაეტყო. 1834 წელს დარგომიჟსკი გაეცნო გლინკას, რომელმაც თავის ახალგაზრდა მეგობარს გადასცა ბერლინში ცნობილ პედაგოგ და მუსიკის თეორეტიკოს ზიგფრიდ დენისაგან ჩაწერილი ლექციების ხელნაწერი. ეს ლექციები, გლინკას რჩევა-დარიგებასთან ერთად, წარმოადგენდა კომპოზიციის თეორიის ერთადერთ კურსს, რაც დარგომიჟსკიმ გაიარა და საფუძვლიანად შეითვისა.

1841 წელს იგი წერს ოპერა „ესმარალდას“ ვ. ჰიუგოს ლიბერეტოზე მისეული ცნობილი ნაწარმოების „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ მიხედვით. ამ ოპერის შესახებ, რომელიც მხოლოდ 1847 წელს მოსკოვში და ოთხი წლის შემდეგ — პეტერბურგში დაიდგა, თვით ავტორი წერდა: „მუსიკა უხეიროა, ხშირად უხამსი... მაგრამ დრამატულ სცენებში მოჩანს სიმართლისა და სიმღერის ის ენა, რომლის განვითარებას შემდეგში მე ვცდილობდი ჩემს რუსულ მუსიკაში“. პირველ საყურადღებო ნაწარმოებს ა. პუშკინის ტექსტზე წარმოადგენდა კანტატა „ვაკხის ზეიმი“ (1843), შემდეგში გადაკეთებული ამავე სახელწოდების ოპერა-ბალეტად (1848). ამავე 40-იან წლებში დარგომიჟსკი გაიტაცა პუშკინის პოემა „ალმა“ („რუსალკა“), რომლის სიუჟეტზე მან თვით შეადგინა ლიბრეტო და შეუდგა ოპერის წერას. ათი წლის გულმოდგინე მუშაობის შემდეგ ოპერა დამთავრებულ იქნა. იგი დაიდგა 1856 წელს პეტერბურგის საოპერო თეატრის სცენაზე.

1859 წელს დარგომიჟსკი დაუახლოვდა მოწინავე ლიტერატორებს (ვ. ს. კუროჩკინი, ვ. ი. ვაინბერგი და სხვ.), რომელნიც ეკუთვნოდნენ რადიკალური სატირული ჟურნალის „სასერის“ წრეს. იმავე წელს იგი გაეცნო ბალაკირევის წრეს, რომელიც შემდგში ცნობილი გახდა „მძლავრი ჯგუფის“ („მოგუჩაია კუჩკა“) სახელწოდებით. ამ წრის წევრები: მ. ბალაკირევი, ა. რიმსკი-კორსაკოვი, ა. ბოროდინი, მ. მუსორგსკი, ც. კიუი და კრიტიკოსი ვ. სტასოვი უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ დარგომიჟსკის, როგორც გლინკას ტრადიციების გამგრძობს და ნიჭიერ შემოქმედ-ნოვატორს.



60-იან წლებშია შექმნილი სიმფონიური ჟანრული სურათები: „ბაბა იაგა“, „მალეროსლავეცი კაზაჩოკი“, „ჩუხონური ფანტაზია“ („ფანტაზია ფინურ თემებზე“) და უაღრესად ორიგინალური ქმნილება — ოპერა „ქვის სტუმარი“ პუშკინის ნაწარმოების მიხედვით. ამ ნაწარმოების დასრულება დარგომიჟსკის არ დასცალდა. იგი გარდაიცვალა 1869 წლის 5 იანვარს. „ქვის სტუმარი“ დაამთავრა ცეზარ კიუიმ, ხოლო საკრავებისათვის ა. რიმსკი-კორსაკოვმა დაამუშავა.

დარგომიჟსკის შემოქმედებით ფორმირებაზე უდიდესი გავლენა იქონია ბალსელი საუკუნის 50-60-იანმა წლებმა. ეს ის პერიოდი იყო რუსი ხალხის ისტორიაში, როდესაც ირღვეოდა ძველი, ძირმომპალი ბატონყმურ-ფეოდალური წყობილება და ისახებოდა ახალი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის საფუძვლები. სწორედ ამ რეფორმამდელ და რეფორმისშემდგომ დაძაბულ პერიოდში განსაკუთრებული ძალით მოქმედებდა მოწინავე ადამიანთა შეგნებაზე, მათს მოქალაქეობრივ სინდისზე დიდ რევოლუციურ დემოკრატ მოაზროვნეთა — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის და სხვათა იდეები, საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი უბრალო ადამიანებისადმი, მათი ბედის, მათი შინაგანი სამყაროს, გრძნობებისა და მისწრაფებებისადმი.

დარგომიჟსკის, როგორც ჭეშმარიტ ხელოვანს, მთელი არსებით იტაცებს კრიტიკული რეალიზმის იდეურ-ესთეტიკური პრინციპები. იგი ღრმად უკვირდება რეალურ ცხოვრებას, თავის თანამედროვეობას, ცოცხალ ადამიანებს მოქმედებაში, ტიპიურ გარემოცვაში და მიზნად ისახავს ყოველივე ამის ასახვას მდგენელმისაწვდომი და, ამავე დროს, მაღალოსტატური მხატვრული ხერხებით. მხატვრულ ნაწარმოებთა ახალმა სოციალურ-ეროტიკულ ტიპებმა, ახალმა თემებმა კომპოზიტორში წარმოშვა მისწრაფება ახალ გამომსახველ საშუალებათა ძიებისადმი, ნამდვილ ნოვატორობისადმი. აქედან გასაგებია ის სოციალური სიმახვილე, პუბლიცისტურობა მუსიკაში მუსიკალური ენის ხალხურობასა და დემოკრატიზმთან ერთად, რაც ძლავრ ნიშანდობლივ თვისებად იქცა დარგომიჟსკის მთელი საკომპოზიტორო მოღვაწეობისათვის.

დარგომიჟსკის ოპერა „ალმა“, რომელიც მისი შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს, პირველად იქნა გადაშლილი უბრალო რუსი გლეხი ქალის მძაფრი სულიერი განცდები. ამავე დროს ოპერა მდიდარია წმინდა ხალხური, საწესო-საყოფაცხოვრებო მუსიკალურ-სცენური ეპიზოდებით, რომლებიც მნიშვნელოვნად განამტკიცებენ მთელი ნაწარმოების ეროვნულ კოლორიტს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დარგომიჟსკის ხალს მელოდიური ნიჭსა და მის მიერ ხალხური სასიმღერო სიმდიდრის ოსტატურად გამოყენების გარდა, „ალის“ ბრწყინვალე წარმატებას შემდეგმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. საქმე ის არის, რომ დარგომიჟსკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სიტყვის ინტონაციურ მხარეს, მის მოქნილ გამომსახველობას. და ცდილობდა სწორედ ეს ინტონაციები, მათი განსხვავებული ბუნება ფაქიზად გადაეტანა მუსიკაში, პირველ რიგში კი ვოკალურ მელოდიაში. სწორედ ამით იყო განპირობებული მისი განსაკუთრებული ინტერესი პუშკინის პოეზიისადმი, რომელშიც გარდა ღრმა იდეურობისა და ემოციურობისა, კომპოზიტორი პოულობდა რუსული ენისათვის დამახასიათებელ ინტონაციურ სიმდიდრეს.

ამგვარად, ერთი მხრივ ხალხური მელოსი, მეორე მხრივ კი — პოეტური სიტყვის ინტონაციური სიმდიდრის ოსტატური შერწყმა წარმოშობდა იმ თავისებურ მუსიკალურ ენას, რომელიც ესოდენ განასხვავებს დარგომიჟსკის ნაწარმოებებს მის წინამორბედთა შემოქმედებისაგან. ასეთი მიდგომის უკიდურეს განხორციელებას წარმოადგენს დარგომიჟსკის უკანასკნელი ოპერა „ქვის სტუმარი“, მთლიანად აგებული პუშკინის ტექსტზე. აქ ვეღარ ვხვდებით არიებისა, ანსამბლებისა და სხვა ჩვეულ ფორმებს. მთელი ოპერა აგებულია რეჩიტატივსა და დეკლამაციის ხერხებზე.

დარგომიჟსკის ნოვატორული როლი განსაკუთრებული სიძლიერით მის სიმღერებშიც მეღავნდება. არც მას ეუცხოება სატირფიალო ლირიკა, ელეგიური ჩაფიქრებულობა, ერთგვარი „ანაკრეონტული“ პოეტური გაქანება და ცხოვრების უდარდელი, გულმხიარული აღქმა უმთავრესად აღორძინდელი პერიოდის სიმღერა-რომანსებშია. მაგრამ სულ სხვაა იდეური შინაარსი და მისი გამომხატველი მხატვრული ხერხები დარგომიჟსკის მოწიფულობის პერიოდის ვოკალურ ნაწარმოებებში. მათი მთავარი გმირი, ახლა უკვე უბრალო, „ყოველდღიური ადამიანია“.

დარგომიჟსკიმ, როგორც ცხოვრებაში ღრმად ჩახედულმა ხელოვანმა, თავის სიმღერა-რომანსებსა და ოპერებში გადმოგვცა მთელი გალერეა სრულყოფილი მუსიკალური პორტრეტებისა, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ მსმენელზე მძლავრი ზეგავლენის ძალა.

მმართველი წრეები და მათ მიერ დაგეშილი რეაქციონერები ამ ნიჭიერ კომპოზიტორს არ სცნობდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ მისი მნიშვნელობის დამცირებასა და დაკნინებას. მათ შესახებ კომპოზიტორი წერდა: „მეტი წილი ჩვენი მუსიკის მოყვარულნი და გაზეთის მჭღაბნელნი არ სცნობენ ჩემში შთაგონებას... მე მათ გადამაჩვიეს მხოლოდ ჩემი ნაწარმოებების გამოცემას, წერას კი დღემდე ვერ გადამაჩვიეს“. მას მხოლოდ ის ანუგეშებდა, რომ მისი და გლინკას გზის განმგრძობად სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ნიჭიერი პლეადა რუსი კომპოზიტორებისა, რომელთა მსოფლიო წარმატებების ხილვა ისევე როგორც თავისი შემოქმედების ფართო დაფასებით დატკბობა მას აღარ დასცალდა.

მომავალმა დამტკიცა, თუ რა დიდი ღირებულების მქონეა ამ სახელოვანი კომპოზიტორის უკვდავი შემოქმედება, რომელიც გადაიქცა როგორც ესთეტიკური ტკბობის, ისე მუსიკის ოსტატთა მხატვრული აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად.

ერთ თანამედროვეს ასეთი საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული დარგომიჟსკის შემოქმედებაზე: „მის ნაწარმოებებს მე ვთვლი უაღრესად მნიშვნელოვნად არა მარტო რუსული, არამედ საზოგადოდ ყოველგვარი მუსიკისათვის“. მარ-თლაც „ალის“ ავტორის შემოქმედებამ დიდი ხანია მსოფლიო მუსიკალური საზოგადოებრიობის ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. „მუსიკალური სიმართლის დიდი მასწავლებელი“ — ასე უწოდა გამოჩენილმა კრიტიკოსმა ნ. სეროვმა დარგომიჟსკის, რომელმაც ღრმასეულად დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი მუსიკის უკვდავ ოსტატთა შორის.

კავლე ხუმუა.

* * *

სურათზე: ა. ს. დარგომიჟსკი.

მუსიკალური სიმართლის დიდი მასწავლებელი

ა. ს. დარგომიჟსკის დაბადების 150 წლისთავის გამო

მოკლედ

□ **იანვარში** ნავთობპროდუქტებით დატვირთული ბევრი ტანკერი გავიდა ბათუმის ნავსადგურიდან და კურსი საზღვარგარეთის ქვეყნებისაკენ აიღო.

ამ დღეებში ბათუმის ნავთობსამსხმელო უბანს კიდევ ერთი ტანკერი მოადგა. ეს იყო საბჭოთა საოკეანო ტანკერი „ლისიჩანსკი“. იგი პირველად არის ბათუმში. ხომალდი ათასობით ტონა მაზუთით დატვირთეს. მან კურსი იაპონიის კუნძულ ჩიბასაკენ აიღო. აღნიშნული ტვირთი ტანკერმა იაპონიის მეთევზეთა ფლოტილიისათვის წაიღო.

□ **ხაშურის** რაიონის სოფელ მცხეთიჯვრის მცხოვრები გიორგი ბარაიშვილი საკარიდამო ნაკვეთზე მუშაობის დროს წაადწყდა უძველეს კერამიკულ ღვინის ჭურჭლებს.

5 ქვევრიდან ერთ-ერთი ყველაზე დიდია. მისი სიგანე მეტრნახევარია, ხოლო სიმაღლე—ორ მეტრზე მეტი. დანარჩენი დაახლოებით 110-ფუთიანებია. ერთ-ერთი მათგანი ქვა-ღორღით იყო ავსებული.

ანაბრების თანხა იზრდება

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში სისტემატურად იზრდება მშრომელთა ანაბრები. 1962 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოში ანაბრების თანხა 8 მილიონი მანეთით გაიზარდა. მარტო ამა წლის იანვარში ანაბრების თანხა შემნახველ სალაროებში კიდევ 5 მილიონ 227 ათასი მანეთით გაიზარდა. ახლა საქართველოს 753 ათასი მშრომელის პირად ანგარიშებზე 200 მილიონ მანეთზე მეტი დანაზოგია.

საქართველოს შემნახველმა სალაროებმა უკვე დაამთავრეს პროცენტების დარიცხვა შარშანდელ ანაბრებზე. ჩვენი რესპუბლიკის შემნახველი სალაროებს მეანაბრეთა შემოსავალი 5 მილიონ მანეთს შეადგენდა.

ახლა საქართველოს მოსახლეობას ემსახურება 1.159 შემნახველი სალარო. წელს მშრომელთა უკეთ მომსახურებისათვის გაიხსნება რამდენიმე ათეული ახალი შემნახველი სალარო ახალშენებლობათა რაიონებში, მსხვილ საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

ა. ფტიინბერგი.

გული... ადამიანის ბრძანებით

მეცნიერების პროგლემები

...1915 წლის გაზაფხული, გალიცია, რუსული ქვეითი დივიზიის ლაზარეთის თეთრი კარვები. სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში სწავლა რომ მიგოლია, აქეთკენ მოხალისედ გამოსწია ახალგაზრდა კუპრიანოვმა საშუალო ექიმის თანამდებობაზე. აქ, სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე, იგი პირველად წაადწყდა გულმკერდის არის გამპალ ჭრილობებს. თუ ყველა დანარჩენი ჭრილობა ქირურგს შეეძლო ინსტრუმენტებით დაემუშავებინა, გაეთავისუფლებინა ინფექციისაგან, ხოლო შემდეგ ამოეკერა, ახლა თვით უდიდესი ექიმი პიროგოვი სისხლის სამართლის დანაშაულად თვლიდა ექიმის ცდას გულ-მკერდი ზონდი შეეყვანა ჭრილობაში. გულს ვერ გადააქცევ არა მარტო ექიმის შეხება, არამედ ჰაერის მიკარებაც — ასეთი იყო მედიცოსთა უმრავლესობის რწმენა პირველი მსოფლიო ომის წლებში.

კუპრიანოვს არაერთხელ უნახავს, რა დიდხანს უცცადა დაჭრილი გული ღია მკერდში ლაზარეთში მოყვანილ მეომარს. გული თითქოს საშველად უხმობდა ქირურგს, მაგრამ ექიმს ისევ რჩებოდა, რომ ეთვალთვალებინა, თუ როგორ ნელდებოდა გულის ცემა, ღია ჭრილობაში შესული ჰაერისაგან როგორ იქმნებოდა ანევმოტორაქსი — გულ-მკერდის არის შიგნით წნევის დარღვევა, ხოლო ამას მოსდევდა... სიკვდილი. ძნელი იყო ამასთან შერიგება.

პეტრე კუპრიანოვი, მრავალ ბრძოლაში ნამყოფი, დაჭრილი და გაზით მოწამლილს გადამტანი, 1917 წელს პეტროგრადში დაბრუნდა, რათა განგრძო სწავლა, მიეღო ექიმის დიპლომი. მან წარჩინებით დაამთავრა აკადემია და დატოვებულ იქნა იქვე ასისტენტად, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაციები და სათავეში ჩაუდგა აკადემიის ერთ-ერთ ქირურგიულ კათედრას.

...დიდი სამამულო ომი. კუპრიანოვი ფრონტზეა. ლენინგრადიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. იხსნება გულ-მკერდის ქირურგიის სპეციალური სამხედრო პოსპიტალი. მისი დამაარსებელია პროფესორი კუპრიანოვი. საომარი მოქმედების პირველ დღეებშივე იგი დაინიშნა ლენინგრადის ფრონტის მთავარ ქირურგად.

ბევრი იმთგანი, ვისაც მოუდგა ლენინგრადის მისადგომებთან ბრძოლა, უთუოდ შეხვედრია მაღალ, გამხდარ სამხედრო პრს, ქუდზე გენერლის სამხრეებით. იგი თვალყურს ადევნებდა იმას, რომ დაჭრილებს დაუყოვნებლივ მიეღოთ დახმარება.

კუპრიანოვს კვლავ აღელვებდა გულ-მკერდის ქირურგიის საკითხები, მეეოდის არეში ჭრილობათა მკურნალობის გზები. მაგრამ ახლა იგი უკვე უაღრესად გამოცდილი ქირურგი იყო, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც განუზრელად მიდიოდა იმ საიდუმლოების ამოხსნისაკენ, რომელიც მოსავენებას არ აძლევდა მედიკთა თაობებს, — გულის, ფილტვების, მსხვილი სისხლსადენი მილების ჭრილობათა მკურნალობის საიდუმლოების ამოხსნისაკენ.

კუპრიანოვს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მედიცინის ახალი დარგის — ტორაკალური, სხვანაირად რომ ვთქვათ, გულ-მკერდის ქირურგიის ერთ-ერთი შემქმნელი. მან მსოფლიოს ქირურგთა შორის ერთ-ერთმა პირველმა განმარტა, თუ რატომ არის ადამიანის ტვინი ასე მგრძნობიარე გულთან შეხებისას და რატომ უპასუხებს ამ შეხებებს შოკით, თუ რატომ არის ასე მრისხანე ანეგმოტორაქსის მოვლენები. მან ჰპოვა გულის ავადმყოფობებთან და ჭრილობებთან ბრძოლაში ისეთი მძლავრი მოკავშირეები, როგორიც არის ანესტეზია, ანტიბიოტიკების გამოყენება, ჰიპოთერმია (ხელოვნური გაგრილება). სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის ხელოვნური მართვა. დიდი სამამულო ომის წლებში ცივ საოპერაციოში კუპრიანოვის ასისტენტები იყვნენ ექიმები, რომლებსაც მაზარებზე ეცვათ ხალათი. ბნელა: და იგი სხოვს სანთელი მოიტანოს საოპერაციო ადგილის ახლოს. კლინიკის კედლებს იქით საზენიტო არტილერია ისვრის. მაინ ზალპებისაგან კედლები ზანზარებენ...

შეუძლებელია იმ დღეების დავიწყება, მაგრამ კუპრიანოვი უფრო ხალისით გველაპარაკება თავისი კლინიკის დღეკანდელ დღეზე. იმაზე, რომ ომის შემდეგ აქ უკვე შესრულებულია ათასზე მეტი ურთულესი ოპერაცია გულისა და მაგისტრალური ძარღვებისა. იგი გვიჩვენებს კლინიკაში შექმნილ უნიკალურ ხელსაწყოებს. და ინსტრუმენტებს მსგავსი ოპერაციებისათვის, ისეთებს, როგორიც არის აპარატი „ხელოვნური გული — ფილტვები“, რომელიც საშუალებას იძლევა ოპერაციის დროს მთლიანად გამოვთიშოთ ავადმყოფის გული და ფილტვები. კლინიკაში არის ლაბანსანისა და სხვა სინთეზური მასალებისაგან დამზადებული სისხლძარღვთა პროტეზები, შემუშავებული პროფესორის კათედრის თანამშრომლების მიერ. მთელი რიგი ინსტრუმენტები კონსტრუირებულია თვით მის მიერ, ხოლო დანარჩენები — მისი ხელმძღვანელობით.

1960 წელს პროფესორ კუპრიანოვს მიენიჭა ლენინური პრემია გულისა და სისხლძარღვთა ოპერაციის დარგში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის.

...კლინიკაში, რომელსაც კუპრიანოვი მეთაურობს, არის რამდენიმე პალატა, ყველაზე ნათელი და მყუდრო, რომელთა ფანჯრები ძველისძველ ბაღში გადის. აქ პროფესორები ჩვეულებრივ ხვდებიან ბავშვთა წერილა ხმების ვენდს.

როდესაც კუპრიანოვი მხოლოდ იწყებდა გულის ჭრილობის მკურნალობას, მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ გული ბევრად უფრო ხშირად ზიანდება არა ტყვიით ან ნამსხვრევით, არამედ შეუიარაღებელი თვალისათვის უხილავი ავადმყოფობით ან თანდაყოლილი მანკით.

კუპრიანოვამდეც იყო ცალკეული შემთხვევები იმ ბავშვთა წარმატებული ქირურგიული მკურნალობისა, რომლებიც გულის მანკით იყვნენ დაავადებულნი. მაგრამ მეცნიერი ფიქრობდა მკურნალობის არა ცალკეულ, თუნდაც წარმატებულ, შემთხვევებზე. არამედ ბავშვობის ასაკში ეფიდან ქირურგიის პრობლემების საკვლევი მეცნიერული ცენტრის შექმნაზე. ასეთი ცენტრი შეიქმნა ომისშემდგომ პირველსავე წლებში — კუპრიანოვის კლინიკის საბავშვო განყოფილება. ათობით და ასობით ჯერ კიდევ არც იყო დიდი ხნის წინათ მძიმედ დაავადებული ბავშვები ოპერაციის შემდეგ ტოვებდნენ კლინიკას ჯანმრთელნი და სიცოცხლით სავსენი.

ბეშმარიტი ნიჭი მუდამ გულუხვია. ეს შეიძლება ითქვას პროფესორ კუპრიანოვზეც. უხვად გადასცემს იგი სხვებს თავის ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას. ამაზე მეტყველებს მისი 200-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომა. 16 პროფესორი, 30 მეცნიერებათა კანდიდატი გახდნენ მეცნიერების მოღვაწენი მისი ხელმძღვანელობით. დაუღალავ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა იგი აკადემიაში და მთელ რიგ ინსტიტუტებში. იგი მრავალი სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრია, მრავალი საერთაშორისო კონგრესისა და კონფერენციის მონაწილეა. მარტო უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე იგი თანამედროვე მედიცინის უმნიშვნელოვანეს თემებზე მოხსენებებით გამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ინგლისში, დანიაში, იტალიაში, შვეიცარიაში.

შეკითხვაზე მომავლის გეგმების შესახებ, პროფესორი გვიპასუხებს:

— ის, რაც გაკეთებულა ჩვენს მიერ კარდიოქირურგიის დარგში დღეს, პირველი ნაბიჯია. ხვალ მედიცინა უფრო ღრმად შეიჭრება გულის მკურნალობის საიდუმლოებაში, გამოიყენებს ამისათვის მეცნიერების უახლესი მიღწევების კომპლექსს. ამასთან კარდიოქირურგია ნამდვილად მასობრივი, ჩვეულებრივი უნდა გავხადოთ. იოლი როდია აგრეთვე რეანიმაციის პრობლემის გადაჭრის მიღწევა, ე. ი. იმის მიღწევა, რომ პათოლოგიურ პირობებში მუშაობას მიჩვეულ გულს დაეუბრუნოთ, ოპერაციის შემდეგ, ჯანსაღი გულის ნორმალური ფუნქციები.

ანდა აიღეთ პრობლემები, რომლებსაც დაბეჯითებით აყენებს ჩვენს წინაშე თვით ცხოვრება. მე მხედველობაში მაქვს ელექტრონიკა, კიბერნეტიკა. აი ამას წინათ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიამ დამავალა ვეუხელმძღვანელო მუშაობას ინფორმაციულ-მარეგულირებელი კომპლექსის შესაქმნელად. ეს ხელსაწყო თვით ადენებს თვალყურს იმის მდგომარეობას, ვისაც ოპერაციას უკეთებენ, შეაფასებს მის მდგომარეობას ექიმის მონაწილეობის მიუღებლად, დამოუკიდებლად გასცემს განკარგულებებს ამა თუ იმ ხელსაწყოს ჩართვისა და გამორთვის შესახებ, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ოპერაციაში. ასეთია, მაგალითად, გულის სტიმულირების ხელსაწყო, სუნთქვის მარეგულირებელი ხელსაწყოები. მაგრამ სისხლის მიმოქცევა? ჩვენ უკვე ვაკეთებთ სისხლძარღვთა პროტეზებს, „ვაკერებთ, ვაგვირისტებთ“ გულს, ხომ ცხადია, რომ სავსებით შესაძლებელია გულის, ფილტვების მთლიანად შეცვლის პრობლემის გადაწყვეტა! და ეს პრობლემა გადაწყდება.

ალ. გუსირევი,
პრესის სააგენტო „ახალი ამბები“.

ძმებს ბორის და რეზო სურმანიძეებს

სოფელ დ-სა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში კარგ მონადირეებად იცნობენ. ისინი არაერთხელ დაბრუნებულან შობლიურ სოფლში ნანადირევით სავსე ზურგჩანთებით. ხშირად მოუკლავთ მგლები და დათვებიც კი.

და აი ერთი ასეთი ნადირობის ამბავი მინდა მოგითხროთ.

კოლმეურნეობის პლანტაციაში დილიდან მუშაობის შემდეგ შინ დაბრუნებული ძმები ნადირობისათვის მზადებას შეუდგნენ. შეამოწმეს თოფები, გადაარჩიეს ტყვია-წამალი და შებინდებისას საყვარელ სანადირო ადგილებს მიაშურეს. ერთ დიდ ბუჩქნარს რომ მიუახლოვდნენ, უეცრად ცხვირწინ ტყის ქათამი აუფრინდათ, და ფრთების ფათქუნით ბუჩქნარში მიიმალა. ბორისი და რეზო სულგანაბული ელოდნენ „მსხვერპლის“ გამოჩენას.

სამოდე წუთსაც არ გაევლო, რომ ქათამი ცისკენ აიჭრა. იგრიალა თოფებმა, და ძმებმა ჩანთაში პირველი ნანადირევი ჩადეს.

სამხრეთულმა საღამომ სწრაფად დაბინდა იქაურობა. ოდნავ ცრიდა. ძმებმა ადგილის გადანაცვლება გადაწყვიტეს და მდინარისაკენ გაუყვნენ. მოულოდნელად მათი ყურადღება მიიპყრო გაწუმულ ტანსაცმელიანმა კაცმა. იგი ის იყო მდინარიდან ნაპირზე ამოვიდა.

ძმები შეცბუნებული გაჩერდნენ.

ვინ უნდა ყოფილიყო?

ან შემთხვევით ჩავარდა წყალში ან ბანაობა გადაწყვიტა. მაგრამ ტანსაცმელი? თანაც რა საბანაო დრო იყო ამ გვიან საღამოს?

ძმებს ეუცნაურათ, რომ უცნობი დამფრთხალივით აქეთ-იქით იხედებოდა, ვინმე ხომ არ მითვალთვალებსო.

ეჭვი გაძლიერდა. ბევრი აღარ უფიქრიათ და უცნობს ზურგიდან მიეპარნენ.

— თქვენი საბუთები! — ელვასავით დაიბეჭა ბორის სურმანიძემ. მოულოდნელობისაგან უცნობი დაიბნა. ვერაფერი მოისაზრა. სასაზღვრო ზონაში ყოფნის ნებართვა მას არ აღმოაჩნდა. ბორის და რეზო სურმანიძეებმა დაკავებული მესაზღვრეებთან მიიყვანეს.

როგორც შემდეგ გამოირკვა მამაცმა ჭაბუკებმა შეიპყრეს საშიში ბოროტმოქმედი, რომელსაც საგამომძიებლო ორგანოები ეძებდნენ.

* * *

ამ დღეებში სოფელ დ-ს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ძმებს სურმანიძეებს, სიფხიზლისა და მესაზღვრეთადმი დახმარებისათვის ფულადი პრემია და საპატიო სიგელები გადაეცათ.

მათ დაიმსახურეს ეს ჯილდო.

მ. დრუჩინინი.

2.100 ხანდაზმული ადამიანი

ქალთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის კოლექტივმა პროფესორ გ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით შეადგინა საქართველოს ახალი პერიტოლოგიური რუკა. იგი გვიჩვენებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე სად და რა რაოდენობით ცხოვრობენ ღრმა სიბერეს მიღწეული ადამიანები.

უკანასკნელი მონაცემებით საქართველოში 62 ათასი ხანდაზმული ადამიანი ცხოვრობს. მაგალ ქალები ორჯერ მეტია. ამ საერთო რიცხვიდან 2.100 ადამიანი 100 წელზე მეტი ხნისაა.

აფხაზეთის ასსრ სოფელ ლიხნის მცხოვრები 122 წლის კოლმეურნე ა. ფილია მეწისქვილედ მუშაობს. მან 150 შრომადღე გამოიმუშავა. ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშის მკვიდრი ზ. ონიანი 117 წლისაა. ხანდაზმულობის მიუხედავად, იგი განაგრძობს მუშაობას. სვანეთის მთებში მცხოვრები 125 წლის ე. ლიპარტელიანი საკმაოდ მხნედ გრძნობს თავს და კოლმეურნეობის დარაჯად მუშაობს.

ჰიპოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლები ახლა აბუშავებენ მასალებს 12 ათასზე მეტი ხანდაზმული ადამიანის შესახებ. (საქდესი).



სურათზე: ზამთარი გაგრაში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

გულმკერდი ... ადამიანის ბრძანებით

მეცნიერების პროგლემები

...1915 წლის გაზაფხული, გალიცია, რუსული ქვეითი დივიზიის ლაზარეთის თეთრი კარვები. სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში სწავლა რომ მიგოლია, აქეთკენ მოხალისედ გამოსწია ახალგაზრდა კუპრიანოვმა საშუალო ექიმის თანამდებობაზე. აქ, სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე, იგი პირველად წაადწყდა გულმკერდის არის გამპალ ჭრილობებს. თუ ყველა დანარჩენი ჭრილ